სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

31 / მარტი / 2025 წ.

KA080174126541825

№ **1071**

განკარგულება

შპს „მაუნთინ რეზორტს სოლუშანსის“ თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2025 წლის 11 მარტს წარმოდგენილ იქნა შპს „მაუნთინ რეზორტს სოლუშანსის“ (ს/ნ: 405222860) 2025 წლის 11 მარტის მომართვა (რეგისტრაციის № 2316), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში დარეგისტრირება. მიმწოდებელმა 2025 წლის 26 მარტს წარმოადგინა 2025 წლის 26 მარტის დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის № 2752), რომლითაც გამოასწორა მის თავდაპირველ მომართვაზე სააგენტოს 2025 წლის 24 მარტის №791 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით და დაადგინა:

1. შპს „მაუნთინ რეზორტს სოლუშანს“ (ს/ნ: 405222860) 2025 წლის 1 აპრილს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე